ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:ბ48. 4824088001

თარიღი:28/03/2024

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა" პუნქტის, ამავე კანონის 99-ე მუხლის, ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა" და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის უფროსის 2024 წლის 27 მარტის N 03-482408799 წერილის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2024 წლის 22-24 აპრილს იმერეთის რეგიონის კურორტ წყალტუბოში ევროპის ისტორიულ თერმულ ქალაქთა ასოციაციის (EHTTA - ევროპის საბჭოს სერტიფიცირებული ასოციაცია და UNWTO აფილირებული წევრი) გენერალური ასამბლეის მაღალ დონეზე ორგანიზებისათვის, ქალაქის ტერიტორიაზე საქართველოს, ევროკავშირის, კურორტების განვითარების სააგენტოს და ევროპის ისტორიული თერმული ქალაქების ასოციაციის გარე გამოყენების დროშების შესყიდვისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოს 2000 (ორი ათასი) ლარი.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს თანხის გამოყოფა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.N11).

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

ქ. ქუთაისი, აკაკი წერეთლის გამზირი №2 • CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY №2 • 221274546

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი